სამოქალაქო იდენტობისა და პრაქსისის მოდელები გენდერულ ჭრილში : საქართველოს შემთხვევა

გიორგი გულიკაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

ხელმძღვანელი : ანა კირვალიძე - სოციოლოგიის დოქტორო

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გიორგი გულიკაშვილი

06.07.2015

აბსტრაქტი

დღესდღეობით მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოს ფორმირებაზე, მასში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ თუ სხვაპროცესზე. აქედან გამომდინარე, დემოკრატიზაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოება და ჩართულობა მნიშვნელოვანროლს ასრულებს. თუ როგორ ხდებასამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და რა კავშირში იყო და გავლენას ახდენდა მასზესხვადასხვა სოციეტალური, სტრუქტურული, ეკონომიკური თუ სხვა ტიპის ფაქტორები. არის თუ არა მოქალაქეობა კონცეპტი, რომელზეც გავლენას ახდენს კლასის, გენდერისა თუ საზოგადოების დაყოფის სხვა ფაქტორები? განსაზღვრავენ ან ზღუდავენ თუ არა ისინი მოქალაქეობისადმი წვდომას? ეს ის კითხვები არის, რომელიც მკვლევარების ინტერესის საგანს წარმოადგენს.

მოცემული კვლევის მიზანია შეისწავლოს თანამედროვე ქართული საზოგადოების ატიტუდები მოქალაქეობისა და სამოქალაქო ჩართულობისადმი გენდერულ ჭრილში. კვლევა აქცენტს აკეთებს რესპონდენტების სამოქალაქო ცნობიერების დონეზე, მათს დამოკიდებულებებზე და სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობაზე. მიღებული მონაცემების შედარება შესაძლებელს ხდის ატიტუდებსა თუ მოქალაქეთა პრაქტიკებში განსხვავებების დაფიქსირებას გენდერის მიხედვით. კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. იგი ეყრდნობა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC)მონაცემებს. ამ ტიპის კვლევის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შესაძლოა, მიგვითითოს გარკვეულ გენდერულ განსხვავებებზე - ატიტუდებსა და სამოქალაქო პრაქტიკებში და მათი შესწავლა მკვლევრებს დაეხმარება მომავალში იმ ფაქტორების დასადგენად, რომლებიც ხელს უშლიან ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ჩართულობას, ან ხელს შეუწყობს მათ უკეთ ინტეგრირებას სამოქალაქო საზოგადოებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები : გენდერი, მოქალაქეობა, სამოქალაქო ჩართულობა.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის მადლობას გადავუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ანუკა კირვალიძეს.